საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის ივლისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის ივლისის თვეში.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“

2023 წლის 3 ივლისს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი (საავტორო უფლება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე); მე-18 მუხლი (ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებები); 21-ე მუხლი (ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 050000000.05.001.021026

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება 2023 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

2023 წლის 3 ივლისს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და 21-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-11 პუნქტი:

„11. ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–725 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის ლიცენზიის გამცემს უფლება აქვს, სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ განახორციელოს.“.

2. კანონს დაემატა 22^1 მუხლი (ამ კანონის მე-6 მუხლის 72-ე–725 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობების ლიცენზიების შეჩერება)

ზემოაღნიშნული კანონის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300310000.05.001.021020

კანონი ამოქმედდა 2023 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №258

2023 წლის 3 ივლისს დამტკიცდა „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200080000.22.033.017716

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2023 წლის 5 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №259-ით შევიდა ცვლილება და „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების ინსტრუქციის დანართი №8 („საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“); „დეკლარირების კლასიფიკატორის“ დანართი №19 მე-5 ნაწილით გათვალისწინებული „გადასახდელის გაანგარიშების დამხმარე კოდების კლასიფიკატორის“ ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017717

ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19) მე-5 ნაწილის „196“ კოდის გრაფისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19) მე-5 ნაწილის „196“ კოდის გრაფა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №279 ბრძანებით „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2); „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედააციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017725

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №277 ბრძანებით „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2); „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017724

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ბრძანება №25/ნ

2023 წლის 5 ივლისს სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

№27/ნ ბრძანებით „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემისა და ამ მიზნით კომერციული ბანკის ან/და მიკრობანკის შერჩევის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2023 წლის 23 ივნისის №25/ნ ბრძანების ინსტრუქციაში შევიდა ცვლილება და დანართი №1 ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.66.078.016029

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის პირველი ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის–საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №001

2023 წლის 6 ივლისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის №004 ბრძანებით „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის №001 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და მე-2 მუხლი (ტერმინთა განმარტება); მე-4 მუხლი (დასაქმებულის გაწევრიანება დაგროვებით საპენსიო სქემაში და რეგისტრაცია) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016017

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 7 ივლისს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის–საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №002

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2023 წლის 6 ივლისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის №005 ბრძანებით „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და 1-ლი მუხლი (ინსტრუქციის რეგულირების და მოქმედების სფერო); მე-2 მუხლი (ტერმინთა განმრატება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016018

კანონი ამოქმედდა 2023 წლის 7 ივლისს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის–საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №003

2023 წლის 10 ივლისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის №006 ბრძანებით „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის №003 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და მე-8 მუხლი (დამსაქმებლის მიერ დასაქმებულების საპენსიო დეკლარაციაში ჩართვა); მე-9 მუხლი (დასაქმებულები, რომლებიც არ იბეგრებიან გადახდის წყაროსთან) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 280030000.73.085.016019

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2023 წლის 7 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/264

2023 წლის 10 ივლისს დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუშები დანართი №1–№6-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ნიმუშების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010020000.22.024.016810

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2023 წლის 12 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №266 ბრძანებით გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 112-ე მუხლი (გარდამავალი დებულებები) ჩამოყალიბდა ახალი რედქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017719

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 18 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №275 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დანართ №II-04-ის (საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედქაციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017723

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 1 აგვისტოდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ამავე ბრძანებაში 2023 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №280 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 56[1] მუხლი (საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017726

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №229/ნ

2023 წლის 18 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №229/ნ ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანების განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულებაში“ შეტანილ იქნა ცვლილება და მე-3 მუხლს მე-2 პუნქტის „ღ[1]“ ქვეპუნქტი (მართვის სისტემის ფუნქციები); მე-მუხლი (მართვის სისტემის მართვა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დებულების ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.022.018321

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №18/ნ

2023 წლის 25 ივლისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №70/ნ ბრძანებით ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №18/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულებაში“ შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

„3. ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების დაძლევა შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სწავლების ენებზე. ექსტერნები, რომლებიც ექსტერნატის გამოცდებს აბარებენ არაქართულ ენაზე, გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხოურ ენებში აბარებენ შესაბამისი სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით.“.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) ენა, რომელზეც ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების მსურველს სურს ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება;“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 360160000.22.022.018325

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 15 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №74

2023 წლის 25 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №49 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი მომსახურების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო დაცვის ან/და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განსხვავებული წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 23 მაისის №74 ბრძანება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 140130000.22.034.017377

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №007

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2023 წლის 31 ივლისს დამტკიცდა „დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საინვესტიციო პორტფელის ან საინვესტიციო პორტფელების კომბინაციის არჩევის შესახებ ინსტრუქცია" ამ ბრძანებაზე თანდართული ფორმით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 280060000.73.085.016020

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 06 აგვისტოდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2023 წლის 3 ივლისს საქართველოს მთავრობის №244 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება.

ზემოაღნიშნული დადგენილები სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.024077

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №43

2023 წლის 10 ივლისს საქართველოს მთავრობის №252 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხისა და ადმინისტრაციაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №43 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №9 ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით.

ზემოაღნიშნული დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 190020010.10.003.024089

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №85

2023 წლის 17 ივლისს საქართველოს მთავრობის №260 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – მანქანა-დანადგარების შესახებ“ X დანართით განსაზღვრული მანქანა-დანადგარების ნუსხის მე-7 გრაფა ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით

ზემოაღნიშნული დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300160070.10.003.024093

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №488

2023 წლის 24 ივლისს საქართველოს მთავრობის №264 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები“ ჩამოყალიბდა ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430040000.10.003.024097

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №211

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2023 წლის 24 ივლისს საქართველოს მთავრობის №270 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის:

1. მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„10. ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა, გარდა ამ მუხლის 101 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა, განისაზღვრება დღეში 30 ლარის ოდენობით, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ – ამ წესის №1 დანართის შესაბამისად.“.

2. მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 10^1 პუნქტი:

„10^1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეს ქვეყნის შიგნით მივლინებისას, თუ იგი მივლინების ადგილას აყვანილი იქნება სასურსათო კმაყოფაზე, აუნაზღაურდება ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული, ქვეყნის შიგნით მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმის მხოლოდ 30%.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010320000.10.003.024101

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №2

2023 წლის 26 ივლისს დამტკიცდა „საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესი“ თანდართულ დანართთან ერთად.

ზემოაღნიშნული დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.11.004.016080

დადგენილება ამოქმედდა 2023 წლის 1 აგვისტოდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge